სეგ

ს/ნ 402098314

სახანძრო ექსპერტიზის ბიურო

პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის
მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის
შეფასება /ინსპექტირება

ანგარიში

№ PE-011

თარიღი:

31.01.2024 წ.

დამკვეთი : შპს ,,ნ და კო“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 30ა. ბ. 63

ტელეფონი:

შენობის მისამართი: ქ. თბილისი, მუხათგვერდის სასაფლაოს მიმავალ გზაზე (ს/კ 01.72.14.005.039)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საწყობი

დამპროექტებელი ორგანიზაცია: შპს ,,ნ და კო“

ხელშეკრულება: G-21

შემსრულებელი ინსპექტორი: გიორგი ლეიმანი

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა მოიცავს: კვამლაღმომჩენი, განგაშისა და ევაკუაციის მართვის, კვამლის საკონტროლო და მილდგარების სისტემების პროექტების მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირებას.

საექსპერტო ანგარიშის შესადგენად წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

- განმარტებითი ბარათი;
- კვამლაღმომჩენი;
- განგაშისა და ევაკუაციის მართვის;
- მილდგარების;
- კვამლის საკონტროლო სისტემები.

ინსპექტირების დროს გამოყენებული იქნა ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი.

საპროექტო შენობა შედგება, ერთმანეთისგან გამიჯნული ერთი და სამ სართულიანი სასაწყობე სივრცეებისგან შენობაში დაგეგმილია სახანძრო სისტემების მოწყობა, კერძოდ:

კვამლაღმომჩენი სისტემების შეფასება: რეგლამენტის 907.2.15 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ყველა დაკავებულობაში გათვალისწინებულია სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მოწყობა.

განგაშისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემა: დაკავებულობები აღჭურვილია ხმოვანი და ხელით სამართავი საგანგაშო სისტემებით, აღნიშნული სისტემების მოწყობილობები განთავსებულია შენობის გასასვლელებთან. რაც შეესაბამება რეგლამენტის 907.2 და 907.4.2.6 ქვეთავების მოთხოვნებს. 1006.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად გათვალისწინებულია გასავლელი საშუალებების ავარიული განათება, რომელიც უზრუნველყოფილია სათადარიგო ელექტრომომარაგებით. ასევე დაგეგმილია გასასვლელებთან მისადგომების განათებული მაჩვენებლების ,,EXIT"-ის მოწყობა, რაც შეესაბამება 1011.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

პროექტში გათვალისწინებულია სახანძრო სიგნალიზაციის და საგანგაშო სისტემების, სამისამართო მართვის პანელთან მიერთება, რომელიც განთავსდება სამ სართულიანი შენობის პირველ სართულზე და აღიჭურვება GSM სისტემით, რაც თანხვედრაშია 907.3 ქვეთავის მოთხოვნასთან. სისტემების ავარიულ რეჟიმში სამუშაოდ 907.6.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, დაგეგმილია დამატებითი ელექტრო მომარაგების წყაროთი (ბატარეა) უზრუნველყოფა. აღნიშნული სისტემების ელექტრო მომარაგებისათვის ასევე გათვალისწინებულია ცეცხლმედეგი კაბელის გამოყენება.

მილდგარების სისტემა: ერთ სართულიანი შენობის გასასვლელებთან სატვირთო ავტომანქანების მისადგომი ბაქანის მხარეს მთელ სიგრძეზე დაგეგმილია ქალაქის ქსელთან მიერთებული ოთხი 51 მმ$^{\varnothing}$ სახანძრო კარადის მოწყობა. სამ სართულიანი ნაწილის ყველა სართულზე ასევე გათვალისწინებულია თითო კარადის მოწყობა, რაც შეესაბამება 905.3.1 და 905.5 ქვეთავების მოთხოვნებს. აღნიშნული კარადები

რეგლამენტის 912 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად საპროექტო შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარე ხანძარქრობისთვის გათვალისწინებულია ჰიდრანტის (წყლის ასაღები წერტი) მოწყობა.

კვამლის საკონტროლო სისტემა: შენობის სამ სართულიან ნაწილში არსებულ ლიფტის შახტაში წნევის შესაქმნელად, დაგეგმილია სახურავზე განთავსებული 100 პა. 11500 მ^3/სთ სიმძლავრის ვენტილატორის მოწყობა, რომელიც 500×800 მმ. ღიობიდან დაუბერავს ჰაერს შახტაში. ვენტილატორის შეუფერხებელი მუშაობისთვის გათვალისწინებულია ალტერნატიული კვების წყაროდ დიზელ გენერატორის გამოყენება, რაც შეესაბამება 909.21 ქვეთავის მოთხოვნებს

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე ქ. თბილისი, მუხათგვერდის სასაფლაოს მიმავალ გზაზე (ს/კ 01.72.14.005.039) მდებარე სასაწყობე შენობის კვამლაღმომჩენი, განგაშისა და ევაკუაციის მართვის, მილდგარებისა და კვამლის

საკონტროლო სისტემების პროექტების პროექტები შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნებს.

ინსპექტორი : გიორგი ლეიმანი

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექ.მენეჯერი: ნუგზარ მაისურაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმადირექტორი: ნუგზარ მაისურაძე

FEB

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0337

ადასტურებს, რომ

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №17;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის და ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი; 2. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი).
(დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 თებერვალი 2020 წ.

ძალაშია
19 თებერვალი 2024 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

ıდიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0337
არგულება №06/32
ıღი: 19.02.2020 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

ბოს აქტუალიზაცია
დიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0337
არგულება № 01/40
ıღი: 08.06.2021 წელი

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის სფერო

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“

მისამართი: ქ.თბილისი სამტრედიის ქუჩა №17;

№	ინსპექტირების ობიექტი [1]	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი [2]	მეთოდები და პროცედურები [3]
1	*2*	*3*	*4*
1	ობიექტის ან მისი ნაწილის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი) მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41); 6. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 7. ინსპექტირების პროცედურები.
2	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.